ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4424247

ნომერი: AR1656687

თარიღი : 22.01.2019

გაცემის თარიღი : 21.03.2019

გაცნობის თარიღი : 21.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გივი კარტოზიას ქუჩა N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარ ჯობაძე პ/ნ 01030028485
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კვ.1, კორპ. 6, ბ.23

ორგანიზაცია:

- შპს "მაგთიკომი" კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
-განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ მოგვმართავს შპს „მაგთიკომის“ მინდობილი პირი, ასევე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს „ემკვადრატი იპოდრომთან“-ის 2019 წლის 17 იანვრის თანხმობა, რომლის საფუძველზეც იგი თანხმობას აცხადებს კარტოზიას ქუჩა #10-ში არსებული ობიექტის ტერიტორიაზე განათავსოს ანტენები და აპარატურა შპს „მაგთიკომმა“. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპრექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს „მაგთიკომი“ აქედან გამომდინარე წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ობიექტთან მიმართებაში შპს „მაგთიკომის“ (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული) საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მეიჯარის თანხმობა. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია მიწის ნაკვეთის მესაკუთრე (როგორც განმარტებულია შეტყობინებით წარმოდგენილი ტექსტით) შესაბამისად განახლდეს დოკუმენტაცია და წარმოდგენილ იქნეს შპს „ემკვადრატი იპოდრომთან“-ის უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. რაც შეეხება პირის თანაგანმცხადებლად რეგისტრირებას აღნიშნული შეუძლებელია 2018 წლის 31 დეკემბრიდან სამსახურში ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაციის საფუძველზე.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.